საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ადიღეები

ადიღეები (საკ. სახელწ. ადიღე), წარსულში მრავალრიცხოვანი, ენითა და წარმოშობით მონათესავე ტომების ჯგუფი ჩრდ. კავკასიაში, ამჟამად ადიღეელების, ჩერქეზებისა და ყაბარდოელების საერთო სახელწ.

ა-ის მეტყველება კავკ. ენათა ოჯახის განსაკუთრებულ (აფხაზურ-ადიღურ) ჯგუფს ქმნის. ა-ის წინაპარი ტომები – სინდები, კერკეტები, ტორეტები, ზიხები (ქართ. წყაროებით – ჯიქები) – ძვ. წ. VI–V სს-ში ჩრდ. კავკ. დას. ნაწილში, ყუბანსა და შავიზღვისპირეთში ცხოვრობდნენ.

ანტ. წყაროებში ყუბანისპირელი ა. მეოტების კრებითი სახელითაც მოიხსენიებიან, შავიზღვისპირა ტომები კი – საკუთარი სახელწოდებით (ზიხები, კერკეტები და სხვ.). ჯერ ალანების (I ს.), შემდეგ ჰუნების (IV ს.) მოძალების შედეგად ა-მა სამხრ.-აღმ-ით გადაინაცვლეს. ვახტანგ გორგასლის (V ს.) დროს, ქართ. წყაროების მიხედვით, „იოტნეს... ჯიქნი თურქთაგან... ხოლო ჯიქნი დაემკვდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“ (ქართლის ცხოვრება). დაახლ. V ს-იდან ზიხები სათავეში ჩაუდგნენ ა-ის ტომთა კავშირს. VIII–IX სს. მიჯნაზე ჯიქეთი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდა. X ს. რუს. წყაროები ა-ს კასოგებს უწოდებენ, აღმოსავლური (სპარსული, არაბული) – კაშაკებს (ყაშაყებს), კეშეკებს, ქართული – ქაშაგებს. მონღოლთა შემოსევის დროიდან ა-ს ჩერქეზებად იხსენიებენ. XIII–XIV სს-ში ა-ის ნაწილი (ყაბარდოელები) მდ. თერგის აუზში დასახლდა. ყუბანსა და შავიზღვისპირეთში დარჩენილ ა-გან კი ჩამოყალიბდა ადიღეელი ხალხი. კულტურასა და ყოფაში (ტანსაცმელი, იარაღი, საოჯახო წყობა, რწმენა-წარმოდგენები, ფოლკლორი და სხვ.) ბევრი საერთო აქვთ აბაზებსა და აფხაზებთან.

ძვ. ა-ის შთამომავლები – ადიღეელები უმეტესად ადიღეში ცხოვრობენ, ყაბარდოელები – ყაბარდო-ბალყარეთში, ჩერქეზები – ყარაჩაი-ჩერქეზეთში.

ლიტ.: Н о г м о в Ш. Б., История адыгейского народа..., Нальчик, 1958.

ალ. რობაქიძე